საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კავკასიონი

© ყოველდღიური გაზეთი №15 (84) ოთხშაბათი, 25 იანვარი, 1995 ფასი 150 000 კუპონი ან 500 რუბლი

პრესმერიდიანი

## დიდი ბრიტანეთი

## 23.01.95

### FINANCIAL TIMES

გაზეთი წერს, რომ პრეზიდენტის სასახლე გროზნოში, შესაძლებელია, დაეცა, მაგრამ თუ დედაქალაქის სამხრეთით მცირე ქალაქების მცველთა სიმამაცეს გავითვალისწინებთ, ომის მთავარი სირთულეები, ალბათ, ჯერ წინ არის. საფიქრებელია, რომ გროზნოს დაკარგვის შემდეგ ომი დაბალი ინტენსიურობის პარტიზანულ ფაზაში გადავა და სამხრეთის მთიან რაიონებს მოიცავს. თუმცა, რუსებს შეიძლება ხანგრძლივი ბრძოლა მოუხდეთ მეამბოხე რესპუბლიკის სამხერთ რაიონებში. თუ მათ მიერ არჩეულ შეუბრალებელ ტაქტიკის მიხედვით განვსჯით, რუსეთის ჯარი ჩეჩნეთის დამორჩილებას, ალბათ, ავიაციის და შორსმსროლელი არტილერიის გამოყენებით ეცდება. შეიძლება, ესეც არ აღმოჩნდეს საკმარისი. თუ რუსეთს სურს, უმთავრეს ქალაქებზე სრული კონტროლი განახორციელოს, უნდა აამოქმედოს ახალი ძალები და მნიშვნელოვან დანაკარგებსაც მზადყოფნით შეხვდეს.

### THE TIMES

გაზეთი სარედაქციო წერილში აღნიშნავს, რომ საკუთარი ძალაუფლების განმტკიცების პრობლემის გადასაჭრელად ელცინმა გაათავისუფლა სამი მაღალი თანამდებობის გენერალი, რომლებიც ინტერვენციის წინააღმდეგ გამოვიდნენ. კრემლის დისციპლინის ფასადს მიღმა რუსეთის ლიდერმა უნდა იცოდეს, რომ კრიტიკა სამართლიანია: ცუდმა დაგეგმარებამ, სუსტმა დაზვერვამ და სტრატეგიულმა შეცდომებმა მოსკოვის კონტროლის ქვეშ გამოცალკევებული რესპუბლიკის დასაბრუნებლად წარმოებული ოპერაცია სისხლიან ხოცვა-ჟლეტად აქცია.

სავარაუდოა, რომ ჩეჩნური კამპანიის მოწინააღმდეგეთა თანამდებობიდან გადაყენების გასაწონასწორებლად ელცინს მოუხდება თავდაცვის მინისტრის პაველ გრაჩოვის მოხსნა. ეს სასარგებლო იქნება, რადგან გენერალი გრაჩოვი არაპოპულარულია შეიარაღებულ ძალებში და არსებობს ეჭვიც, რომ იგი კორუმპირებულ სამხედრო პირებთანაა დაახლოებული.

გაზეთის თვალსაზრისით, თანამდებობის პირების შეცვლა არ ნიშნავს სამხედრო რეფორმას. მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთის არმია შემცირებული ვარიანტის საბჭოთა არმიად მიიჩნევს საკუთარ თავს.

### The Daily Telegraph

### THE INDEPENDENT

პრესა დიდ ყურადღებას უთმობს თელ-ავივთან მომხდარი ტერორისტული აქტის შემდეგ მოვლენათა განვითარებას ისრაელში. ტერორისტების ხელით დაიღუპა 19 ადამიანი, რომელთაგან უმრავლესობა სამხედრო მოსამსახურე იყო.

„დეილი ტელეგრაფი" მიიჩნევს, რომ „ტერორისტების მიერ ძირითადად ჯარისკაცების და არა სამოქალაქო პირების განადგურება მოწმობს აქციების დაგეგმვაში ისლამური დაჯგუფებების გამოცდილების ზრდას".

„ეჭვს არ იწვევს, რომ ისრაელის პრემიერმინისტრის იცხაკ რაბინის მდგომარეობა თანდათან სუსტდება, — მიუთითებს „ინდეპენდენტი", — იგი პირისპირ აღმოჩნდა პოლიტიკური პრობლემების წინაშე. ამგვარი მდგომარეობა განპირობებულია მისდამი დაქვემდებარებულ მთავრობასთან უთანხმოებით. ამ უთანხმოების ძირითადი მიზეზია ებრაელთა დასახლებების გაფართოება, რაც პალესტინელთა რისხვას იწვევს.

როგორც ჩანს, რაბინმა უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში ვერ შეძლო გადაწყვეტილების მიღება და ეს იქცა მისთვის მთავარ პრობლემად. მან ვერც ჯარები გადაიყვანა მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირზე, ვერც ებრაელთა ახალდასახლებების მშენებლობა შეაჩერა და ვერც პატიმრები გაათავისუფლა. რაბინმა იმედი გაუცრუა პალესტინელებს, რომლებიც ვეღარ ხვდებიან, რატომ უნდა წავიდნენ დათმობებზე, თუ სამაგიეროდ არ მიიღებენ უსაფრთხოების სრულ გარანტიას".

## გფრ

## 23.01.95

### Frankfurter Allgemeine

გროზნოში პრეზიდენტის სასახლეზე აფრიალებული რუსული დროშა სამხედრო სუპერსახელმწიფოს კავკასიელ მცირერიცხოვან ჩეჩენ ხალხზე გამარჯვების სიმბოლოდ იქცა. თუმცა, კაპიტულაციაზე საუბარი არ შეიძლება. უფრო პირიქით, რუსეთის მიერ წარმოებული ღია ომი შეიძლება პარტიზანულ ომში გადაიზარდოს. ამის სასარგებლოდ ის მეტყველებს, რომ ერთი მხრივ, განთქმულია თავისუფლებისკენ ჩეჩენთა სწრაფვა როგორც ცარიზმის დროს, ასევე საბჭოთა მმართველობის პერიოდშიც. მეორე მხრივ, კრემლს არ სურს, კონფლიქტი ჩეჩნეთის პრეზიდენტ დუდაევთან მოლაპარაკებით მოაგვაროს.

### Die Süddeutsche Zeitung

ჩეჩნების მიერ ნებაყოფლობით დატოვებული პრეზიდენტის სასახლის დაკავება არ ნიშნავს კავკასიური ომის დასრულებას. პრეზიდენტ დუდაევის ფორმირებებმა, კარგა ხანია, გროზნოს სამხრეთით მთებში მოიყარეს თავი, რის გამოც რუსეთის ავიაციამ მთიანი აულები დაუნდობლად წლგავა პირისაგან მიწისა. საფიქრებელია, რომ პარტიზანული აქციები დიდხანს არ მისცემს მოსვენებას სამხედრო ხელმძღვანელობას, რადგან მუსულმანი მეზობლები ჩეჩნების მიმართ დიდ სიპათიას ამჟღავნებენ და მზად არიან, მისცენ „ბოევიკებს" თავშესაფარი და მატერიალურად დაეხმარონ მათ.

* * *

ხუთშაბათს ბუნდესტაგში გაიმართა დებატები, რომლებიც მიეძღვნა ჩეჩნეთის მოვლენებს. გაზეთები კომენტარს უკეთებენ დებატებს და განსაკუთრებით აღნიშნავენ კანცლერ ჰელმუტ კოლის განცხადებას იმის შესახებ, რომ იგი რუსეთის პრეზიდენტს კვლავინდებურად მეგობრად მიიჩნევს და მის მიერ გატარებულ რეფორმებსაც მხარს უჭერს.

გაზეთები იმის შესახებაც წერენ, რომ პარლამენტმა გადაწყვიტა, პარასკევს მიიღოს ერთიანი რეზოლუცია გფრ-ს ჩეჩნურ მოვლენებთან მიმართების თაობაზე, რომელიც ასახავს ბუნდესტაგში წარმოდგენილი ყველა პარტიის პოზიციას.

### DIE WELT

გაზეთი მიიჩნევს, რომ ბუნდესტაგის დებატები ჩეჩნურ მოვლენათა შესახებ საჩვენებელი ბრძოლა იყო. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის და „მწვანეთა" საყვედური ჰელმუტ კოლის მიმართ იმის გამო, რომ ელცინთან მეგობრობის ხათრით მან დაგვიანებით და არასაკმარისად მკაცრად შეაფასა სისხლიანი ომი გროზნოში, უფრო რიტუალად აღიქმება, ვიდრე მათ მრწამსად. ოპოზიციაც აღიარებს, რომ რუსეთთან მეგობრობის შენარჩუნება აუცილებელია.

# აპოლიტიკური და უცენზურო «რადიო-106»



რეპორტაჟები სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობებიდან, უზენაესი საბჭოს სხდომებიდან, დღევანდელი პარლამენტის სესიებიდან — გახსოვთ რითი ერთობოდით? დაგვავიწყდა, რომ მუსიკის მოსმენა უფრო ნორმალური და საინტერესოა, ვიდრე თავგზააბნეული ხალხის პოლიტიკაზე კამათი.

უკვე ხუთი თვეა, რაც ახალგაზრდობა ორი რადიოსადგურის, „105"-ისა და „106"-ის სმენით ერთობა. გაზეთებში კი (თუ არ ჩავთვლით „რეზონანსის" სარეკლამო განცხადებებს „რადიო-105"-ის შესახებ) სიტყვაც არ თქმულა მათზე. ვუსმენთ რადიოსადგურებს, რომელთაც არ ვიცნობთ, არ ვიცით მათი მუშაობის წესი. ინტერვიუ რადიო „106"-ის მუსიკალურ რედაქტორთან, გია მირიანაშვილთან ჩვენი გაზეთის ამბოხებული თანამშრომლების პირველი მცდელობაა უფრო კარგად გააცნოს მსმენელს ხალხი, რომელსაც კარგა ხანია იცნობს.

**— მოდი, ისტორიით დავიწყოთ, როდის შეიქმნა „რადიო-106" და ვინ არიან მისი დამფუძნებლები?**

— ამჟამად „106" ხუთი წლის იქნებოდა, რაღაც მიზეზებს რომ არ შეეშალა ხელი. ის „106", რომელსაც ახლა ყველა ვიცნობთ, 1994 წლის სექტემბერში გავიდა (სხვათა შორის, „105"-ზე ადრე) ეთერში. პირველად ლევან იაშვილის ხმა გაისმა, რომელსაც გროვერ ვაშინგტონის საქსაფონის ხმა მიჰყვა. დამფუძნებელი კი ფირმა „ტერმინალია".

**— რადიოში პირველი დღეებიდან ხარ?**

— არა, პირველ დღეებში ზურა ჭელიძისა (პრეზიდენტი) და ლევანის გარდა არავინ იყო. ორი კვირის განმავლობაში მხოლოდ ორი კაცი გადიოდა ეთერში.

**— შემდეგ მოხვედი შენ და...**

— მე და ჩემი მეგობრები.

**— და მოიტანეთ ახალი მუსიკა?!**

— მერედა როგორი! ალტერნატიული მუსიკის მოყვარულები ჩემი მიქსის შემდეგ, მგონი, უკმაყოფილონი არ უნდა დარჩნენ.

**— ოჯახში როგორ უყურებენ შენს მოღვაწეობას?**

— კარგად. ჩემებს უყვართ მუსიკა. მამაჩემი კლასიკური მუსიკითაა გატაცებული. თანამედროვე მუსიკის სიყვარული კი ბიძისგან მერგო „მემკვიდრეობით".

**— ე.ი. იყვნენ ადამიანები, რომელთაც გავლენა მოახდინეს შენზე?**

— ასეთი რამდენიმე იყო.

იხილეთ მე—2 გვ.

## არძინბას ოპოზიცია აქტიურდება

აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი ვლადისლავ არძინბა, ოპოზიციის დაწოლის შედეგად, იძულებული გახდა, გადაეხადა თავისი საკადრო პოლიტიკისთვის. იანვრის თვეში მან დაკავებული თანამდებობებიდან გაათავისუფლა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და შს მინისტრი.

## სოხუმში ვითარება იძაბება

სოხუმში უკვე ორი კვირაა დახურულია საკოლმეურნეო ბაზარი. კრიტიკული მდგომარეობაა შექმნილი ქალაქის პურით მომარაგების საქმეში. თითოეულ ოჯახზე კვირაში ერთხელ გაიცემა 1კგ. პური. ერთი თვის განმავლობაში, ჰუმანიტარული დახმარების ხაზით, აფხაზეთის რეგიონში არანაირი სახის ტვირთი არ შესულა. სოხუმში ადგილი აქვს ძარცვისა და გაუპატიურების ფაქტებს და არა მხოლოდ ქართველი ეროვნების მოსახლეობის მიმართ.

## აპირებენ აფხაზეთში რკინიგზის აღდგენას

ამჟამად საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის მიმდინარეობს ინტენსიური კონსულტაციები იმ სარკინიგზო ხაზის აღდგენის თაობაზე, რომელიც გადის აფხაზეთის ტერიტორიაზე. რუსეთის ფედერაცია და სომხეთის რესპუბლიკა მზად არიან, საკუთარ თავზე აიღონ ხარჯების დიდი ნაწილი. (იბერია).

პრესა

# მარათონი წრეზე

## ანუ

## ვაშა, გაზეთი გამოვიდა!

ყველაზე ადვილი დღეს სხვისი შრომის შეფასებაა და ხშირადაც გაიგონებთ ჟურნალისტების მისამართით — ნეტავ რა აქვთ ამდენი საწერი, რაღა უნდა თქვან ახალი, ისედაც ყველაფერი ნათელიაო და იმ დღესაც მწარედ ჩამაწვეთა ვიღაცამ, მაგას თუ შრომა ჰქვია, შენ რასაც აკეთებ... წახვალ, დაწერ რაღაცას და... გაზეთიც მზადააო (?!).

კარგა ხანს ვიფიქრე, მართლა ასე მსუბუქია ჩემი შრომა-მეთქი? მაგრამ დილით, ჯიხურთან ახალი გაზეთების მომლოდინე ხალხს და რედაქციაში ღამენათევ თანამშრომლებს შორის რომ გავავლე პარალელი, მივხვდი: გარედან ასე ლაღი და რომანტიულია ჩვენი პროფესია, მაგრამ ძნელად თუ ვინმეს დააჯერებ, რომ...

თუმცა, მოდით, თავიდან მივყვეთ. რისთვის ყიდულობს ადამიანი გაზეთს?

იმისთვის, რომ ახალი ამბები შეიტყოს, ინფორმაცია მიიღოს, გაიგოს, რა ხდება მის ირგვლივ-მიპასუხებთ თქვენ. ასეა, მაგრამ იმ ინფორმაციის მოპოვებას ნემსის ყუნწში გაძრომა რომ სჯობს, აქედანვე უნდა დამეთანხმოთ და თუ რატომ, ახლავე მოგახსენებთ.

ჯერ ერთი, ქალაქში სატელეფონო სისტემა ისეა მოშლილი, გულით რომ გინდოდეს, ვერაფრით შეძლებ საჭირო მისამართზე მოხვედრას. ერთი აბზაცის მოცულობის ინფორმაციისთვის სამჯერ და ოთხჯერ უნდა გახვიდე ქალაქის თავიდან ბოლოში (სხვა ქალაქებთან კავშირზე და იქაური ამბების შეტყობაზე ფიქრიც კი ზედმეტია, რადგან ან კავშირი არ არის, ან ფაქსი არ მუშაობს, თუ მუშაობს, იმის გეშინია, არავინ მოგპაროს...).

ისიც არაა გამორიცხული, ჩვენი მწირი ჯიბის პატრონი ინფორმაციისთვის გავიდეს და უკან ვეღარ დაბრუნდეს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მგზავრობისთვის საჭირო თანხა „უეცრად და მოულოდნელად" აღარ აღმოაჩნდეს.

ვთქვათ, მოვიპოვეთ ინფორმაცია. მხოლოდ ამით ხომ ვერ გაახლებთ დილით გაზეთს, იქვე პრობლემურ საკითხზე კომპეტენტური პირის ინტერვიუც ხომ უნდა წაიკითხოთ?! მაგალითად, იმის თაობაზე, თუ როდის მოეა გაზი, როდის მოგვაწვდება ელექტროენერგია უწყვეტად, როდის დაიწევს ფასები პურზე, როდის გახდება მგზავრობის ღირებულება ხელმისაწვდომი... ხომ გაინტერესებთ? აბა რა, გაიკვირვებთ თქვენ და მე სიმწრის ოფლი დამასხამს — სცადეთ და შემაწუხეთ ჩვენი ჩინოვნიკები ყოველდღიურად ერთი და იგივე კითხვით! ისე ლამაზად მოგიცილებენ თავიდან (თუ ეს გაკმარეს), ინგლისელ ლორდებს შეშურდებათ. არის ერთი ხვეწნა-მუდარა, მუხლის ჩოქზე დგომა — არიქა, შენი ჭირიმე, მასალის გარეშე რედაქციაში არ მიმიშვებენ, იქნებ ორი სიტყვა გვიწყალობო, დანარჩენი მე ვიცი და ჩემმა პროფესიონალიზმმაო. არ გეტკინათ არაფერი — თუ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ არ გაგესაუბროს, ისეთ მიზეზს მოგიგონებს, ქვას გახეთქავს. თუ ბედმა გაგიღიმა და საჭირო ინტერვიუ ან მასალა მოიპოვე, შენზე ბედნიერი ჟურნალისტი იმ დღეს დუნიაზე არ დადის. რატომ?! — იქ, სადაც ჩვენ ასე გულდაგულ „მიგვიხარია" და, სხვათაშორის, აჭრელებულ გაზეთებზეც

იხილეთ მე—2 გვ.

ომი

# ბოლო ცნობები ჩეჩნეთიდან

მიმდინარეობს ჩეჩნ ბოევიკთა ძალთა კონცენტრაცია, რათა ხელიდან არ გაუშვან გროზნოს აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი.

\+ + +

მიუხედავად ფედერალური ჯარების რიგი გამარჯვებებისა, დუდაევის მომხრეები მზად არიან განაგრძონ წინააღმდეგობა.

\+ + +

ჩეჩნები ნაღმავენ უკან დასახევ გზებს, ქირაობენ ახალ ბოევიკებს, ავსებენ რეზერვებს, ქმნიან სამეთაურო პუნქტებს მდინარე სუნჯას სამხრეთით.

\+ + +

ჩეჩენი ლიდერები ამუშავებენ საომარი მოქმედებების წარმოების ახალ ტაქტიკას.

\+ + +

მოსახლეობა მცირე ჯგუფებად გადის გროზნოდან.

\+ + +

დუდაევის მომხრე ზოგიერთი დაჯგუფება ყველა ზომებს იღებს, რათა სამხედრო ბაზები გადაიტანოს დაღესტნის ჰასავიურტის რაიონში, სადაც ჩეჩენი-აკინები სახლობენ.

\+ + +

ოსეთ-ინგუშეთის კონფლიქტის ზონაში, რომელშიც გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა, ვითარება კვლავ რთულია და შესაძლებელია გამწვავდეს კიდეც, რაც, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია მეზობელ ჩეჩნეთში საომარი მოქმედებების გაგრძელებასთან. დაძაბულობის დამატებით მიზეზად იქცა ის, რომ საგანგებო მდგომარეობას ვადა გაუდის ორ თებერვალს.

ოსეთის უშიშროების სამინისტროს ცნობით, ლტოლვილების ნაკადთან ერთად რესპუბლიკაში ფარულად შედიან ჩეჩენი ტერორისტები.

\+ + +

ვლადიკავკაზში ორჯერ მოხდა თავდასხმა რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებსა და პროკურატურაზე. ორივე შემთხვევის დროს გატაცებულ იქნა დოკუმენტაცია, იარაღი.

შაბათს, ღამით ვორონეჟის ოლქის ერთ-ერთ სადგურში მოხდა აფეთქება. აფეთქდა საომარი ტექნიკით დატვირთული ორი ეშელონი, რომელიც ეკატერინბურგიდან ჩრდილო კავკასიაში მიემართებოდა.

იაროსლავლში დაკავებულნი არიან იაროსლავლის გარნიზონის სამხედრო პროკურორი სპიჩუგინი და სამხედრო კომისარი პოლკოვნიკი ნ.ვასიუტინი, რომლებმაც ჯარისკაცების დედებისაგან აიღეს ქრთამი რამდენიმე მილიონი რუბლის ოდენობით.

\+ + +

რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების მიერ ჩატარდა ოპერაცია ჩეჩენ ბოევიკთა გადაადგილების ძირითადი მიმართულებების, მათი დისლოკაციის ადგილების ბლოკირებისა და ჩეჩნეთის რესპუბლიკის ადმინისტრაციული საზღვრის გადაკეტვის მიზნით.

\+ + +

ჩეჩნეთის რესპუბლიკაში მიმდინარე ბრძოლების დროს თითქმის მთლიანად განადგურდა ე.წ. აფხაზური ბატალიონი, რომლის ყოფილი მეთაური შამილ ბასაევი ამჟამად მძიმედ დაჭრილი იმყოფება ქ.გუდერმესის საავადმყოფოში.

\+ + +

მიუხედავად იმისა, რომ ბოევიკთა ფორმირებებს შორის კავშირი მნიშვნელოვნად დაირღვა, ძირითადი ჯგუფები მაინც დუდაევს ემორჩილებიან და წინასწარ დამუშავებული გეგმების მიხედვით მოქმედებენ.

\+ + +

ზოგიერთი ქვედანაყოფი თავს იკავებს დუდაევის ბრძანებების შესრულებისგან. ჰასაიურტის შტაბში არ შეასრულეს მისი ბრძანება გროზნოში 300 ბოევიკის გაგზავნის თაობაზე.

\+ + +

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ რუსეთს შესთავაზა დახმარება

იხილეთ მე—2 გვ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ალტერნატივა

# აპოლიტიკური და უცენზურო «რადიო-106»

პირველი გვერდიდან

— კონკრეტულად?

— ლევ რაბინოვიჩი,მუსიკალურ შვიდწლედში სწავლის დროს. ბრწყინვალე კაცი იყო, სამწუხაროდ, ცოცხალი აღარ არის, და ედიშერ გარაყანიძე, რომელმაც ქართული ხალხური სიმღერა შემაყვარა.

— მღერიხარ?

— კი. არ გაგიკვირდეს, მაგრამ ჯგუფიც გვაქვს შექმნილი, „Preferense“, ასე რომ, მალე მეც გამოვჩნდები სცენაზე.

— პრემიერა სად შედგება?

— რა თქმა უნდა „106“-ზე.

— პირდაპირი ეთერითაც შეიძლება თქვენი ცხოვრების წესის გაგება, მაგრამ მაინც... რაიმე განრიგი ხომ არა გაქვთ?

— არანაირი.ჩვენ ვებრძვით ყველაფერს, რაც დაგეგმილია. ზოგჯერ ერთი კვირა არ გვძინავს ხოლმე. ზოგჯერ კი ვიღვიძებთ იქ, სადაც არ დაგვიძინია. სტუდიაში არეულობაა, რომლის გარეშეც ყველა მოვიწყენდით. ყოველდღე ვიღაცის არარსებულ დაბადების დღეს ვიხდით, ოღონდ პრობლემებიც გვაწუხებს. ხშირად მილიცია დაგვადგება-ხოლმე და გვამოწმებს, სიგარეტის გარდა სხვა რამესაც ხომ არ ვეწევით.

— ე.ი. შეიძლება კარი გაიღოს და „ფორმიანი ბიძია“ შემოვიდეს?

— არაფერია, აქ უფრო „მაგარი“ ხალხიც შემოდის ხოლმე.

— „ისინი“?

— ჰო, ისინი.

— „105“-თან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?

— კარგი. ხშირად სიმღერებსაც ვუძლვნით ხოლმე. შესაშური დისციპლინა აქვთ და მონდომებულები არიან, ოღონდ, რატომღაც მგონია, რომ „DJ“-ები შეზღუდულები არიან, ხანდახან უგემოვნო მუსიკასაც უშვებენ.

— მგონი, მალე კონკურენტებიც გამოგიჩნდებათ.

— ძალიან გვიხარია. კონკურენცია ხომ დონის ამაღლებას უწყობს ხელს.

— „მძიმე“, „გონიკა+G“, „ტრიბუნალი“, „M.Box“. ახალი პროგრამების შექმნას ხომ არ აპირებთ?

— მომავალში ვაპირებთ პირდაპირ ეთერში გავუშვათ ქართველი შემსრულებლები. „Soul“-ისა და ჯაზის მოყვარულთათვის კი ახალი გადაცემები გვექნება.

— თუმცა, რამდენიმე გადაცემა უკვე აღარ არსებობს.

— მაშინ რომ ვყოფილიყავი ასეთ „პოსტზე“, ეს არ მოხდებოდა. „ნოსტალგიასა“ და მისი წამყვანების — კიკაჩოსა და კოფცოს გახსენებაზე „ნოსტალგია“ გვეუფლება ხოლმე, თუმცა მალე ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. მთავარია ფული იყოს.

— რეკლამები?

— რაკლამებიდან კაპიკებს ვიღებთ.

— ელექტროენერგიის უქონლობის დროს რითი მუშაობთ?

— ტროლეიბუსის აკუმულატორებით. ცოტა ხანში აკუმულატორი ჯდება, წამყვანი კი იყინება.

— „106“-ის ეთერში ყველაზე მეტი კომპოზიცია, მგონი, „საქენერგოს“ეძღვნება.

— თუ გამოვთვლით, ასე იქნება.

— შედეგი?

— ადრე მოქმედებდა, ახლა ეტყობა ან რადიო გაუფუჭდათ, ან ვიღაცაზე არიან დამოკიდებულნი.

— იქნებ იმ ვიღაცას მიმართოთ.

— მივმართავთ, მთავარია ვიცოდეთ, ვინ არის იგი.

— არც ფული, არც დენი, ე.ი. მუშაობთ...

— ...ენთუზიაზმზე. ჩვენი წამყვანების მოსვლა სტუდიაში ყველაზე დიდი პრობლემაა.

— მეტროთი მგზავრობ?

— არა, მანქანით დავდივარ.

— წარმოიდგინე „106“-ის შემოქმედებითი ჯგუფი ვაგზლის მოედანზე მართავს მუსიკალურ აქციას, თქვენი აუდიტორია კი ვაჭრებისა და ვალუტის გადამცვლელებისგან შედგება.

— კარგია, ოღონდ ერთი-ორი იარაღიანი კაცი გვჭირდება.

— დაახასიათე ორი სიტყვით რადიო „106“.

— აპოლიტიკური და უცენზურო.

— რომელიც ევროპაში აკრძალულ სიმღერებსაც უშვებს?

— ძალზე ხშირად.

— ტელეფონის დაზიანების გამო, ალბათ, მსმენელებთან კონტაქტი გიჭირთ.

— ყველაფერი ეს დროებითია.

— რაიმეზე ხომ არ ნანობ?

— ვნანობ, რომ გვიან გავიგე კურტ კობეინის სიკვდილი. ეს ხუმრობით, ისე კი სინანულის გრძნობა არ მაქვს.

— რაიმე კურიოზს ხომ არ გაიხსენებდი.

— ყოველი დღე კურიოზებითაა სავსე.

— მაგრამ მაინც...

— ერთხელ ასეთი რაღაც წამომცდა: „ახლა კი „შადე“ „106“-ის ეთერში“. ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როცა მიკროფონით ხელში ვირთხებს დავდევდით.

— როდის ხარ ბედნიერი?

— წარმოიდგინე. მთელი ღამე მუშაობ, ლაპარაკობ, განუწყვეტლივ მუსიკას უსმენ. დილის 6 საათზე კი ვიღაც დარეკავს და მადლობას მოგიხდის არსებობისთვის. ამაზე დიდი ბედნიერება, მგონი არ არსებობს.

— შენი ოცნება.

— „დინამოს“ გამარჯვება „მილანზე“ 106:0.

ესაუბრა

**მალხაზ ხარბედია**

**P.S.** საუბრიდან ნახევარი საათის შემდეგ რადიო „106“-მა გაზეთ „კავკასიონის“ რედაქციას, განსაკუთრებით კი მის „ალტერნატიულ ფრთას“ მიუძღვნა ჯგუფ „Temple of the dog“-ის (გიას საყვარელი ჯგუფის) სიმღერა „Say hello to heaven“. „კავკასიონი“, ხომ ყველაზე ახლოსაა ზეცასთან.

# ბოლო ცნობები ჩეჩნეთიდან

პირველი გვერდიდან

ჩეჩნეთში დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად.

\+ + +

ევროკავშირის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მოუწოდეს რუსეთს დაუყოვნებლივ შეწყვიტოს საომარი მოქმედებები.

\+ + +

საფრანგეთის პრემიერმინისტრი ბალადიური და უნგრეთის მთავრობის ლიდერი ჰორნი მოუწოდებენ რუსეთს, შეწყვიტოს საომარი მოქმედებები ჩეჩნეთში.

\+ + +

ვლადიმერ ჟირინოვსკიმ განაცხადა, რომ ბორის ელცინთან შეხვედრისას იგი მხარს დაუჭერს რუსეთის პრეზიდენტისა და მთავრობის მოქმედებებს ჩეჩნეთში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის საკითხში. ამასთანავე, მოუწოდებს მას, გაწმინდოს მთავრობა კორუმპირებული ელემენტებისგან და დაუდასტურებს მისი პარტიის წევრთა მზადყოფნას — დაიკავონ მინისტრთა თანამდებობები.

**რუსეთის პრესა (24 იანვარი)**

ჩეჩნეთის კრიზისი მთავარ თემად რჩება.

**„კომსომოლსკაია პრავდა“** აქვეყნებს რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარების მთავარსარდლის ევგენი პოდკოლზინის ინტერვიუს. ე.პოდკოლზინის მონაცემებით, დუდაევის არმიაში 18 ათასი მებრძოლია. რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარებმა მათთან ბრძოლაში დაკარგეს 186 მებრძოლი.



**„კრასნაია ზვეზდას“** მონაცემებით, დუდაევის მხარეს იბრძვის 3800 დაქირავებული, რომელთაგან 2000-ზე მეტი მუსულმანური ქვეყნებიდან არიან ჩამოსული, დანარჩენები კი — ე.წ. ახლო საზღვარგარეთიდან. ბრძოლებში დაქირავებულთა მონაწილეობა დაადასტურა კონსტიტუციური უფლებისა და თავისუფლებების დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ვალენტინ კოვალიოვმაც. ამასთან, მან უარყო ჭორები ჩეჩნეთში ქიმიური იარაღის გამოყენების შესახებ.

**„კრასნაია ზვეზდას“** ინტერვიუ მისცა რფ პრეზიდენტის თანაშემწემ გიორგი სატაროვმა. მან სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ დუდაევის შეიარაღებული ძალები, თავის დროზე, სათანადოდ ვერ შეფასდა.

რუსეთის კონტრდაზვერვის ფედერალური სამსახურის დირექტორმა სერგეი სტეპაშინმა „როსიისკიე ვესტის“ განუცხადა, რომ ჩეჩნეთში გამორიცხულია სამოქალაქო ომის გაჩაღება, რადგან მოსახლეობის უმეტესობა მშვიდობის მომხრეა.

„კრემლის ჩრდილოვანი მრჩევლები“, რომლებიც ხელისუფლებისთვის ბრძოლის მთავარ იარაღად იქცნენ, ხელისუფლებას სთავაზობენ „ეროვნული გვარდიის შექმნას“, — იტყობინება გაზეთი **„იზვესტია“**. გაზეთი იმასაც იუწყება, რომ ეროვნული გვარდიის შექმნის იდეა წამოაყენა გაურკვეველმა „საინფორმაციო-ანალიტიკურმა ცენტრმა“, რომელიც მდებარეობს ვარვარკას ქ. № 5-ში. „ცენტრის“ აზრით, „ნაციონალური გვარდია იქცევა პრეზიდენტის მთავარ დასაყრდენად შიდაპოლიტიკურ ბრძოლებში“.

პრესა

# მარათონი წრეზე

პირველი გვერდიდან

გვრჩება თვალი, ნებისმიერი მაღალი ჩინოსანი ვალდებულია პასუხი გასცეს შენს შეკითხვებს, არ გაგცემს და... ამისთვის არსებობს კანონი პრესის შესახებ. ჩვენთან კი...! პრესის კანონში დიდი ასოებითაა ჩაწერილი, რომ „ყველა თანამდებობის პირი ვალდებულია...“ და ჩვენც ვიცით, მაგრამ მათ იციან?

იკითხავთ, ალბათ, თუ მთელი დღის ნარბენ-ნაწამებმა შეაგროვეთ საჭირო მასალა, მერე ხომ ისვენებთო? კი, ყველა ნორმალურ ქვეყანაში ჟურნალისტი უნდა ისვენებდეს, მაგრამ ჩვენთან ამის შემდეგ იწყება თუ იწყება... აწყობ კომპიუტერზე მასალას — ჩაქრება შუქი, წაიშლება, დააკაბადონებ გვერდს — ჩაქრება — წაიშლება. გაბეზრებული დაავლებ ხელს კომპიუტერს და გარბიხარ იქ, სადაც შუქია, რომ მოასწრო და დროზე მიიტანო გაზეთი სტამბაში, მიხვალ და... ახლა იქ გაქრება ელექტროენერგია და „აქ“ მოვა.

თქვენ რამდენ ხანს შეძლებთ ასე აქეთ-იქით სირბილს? ვფიქრობ, დიდხანს ვერა. აი, ჩვენ კი შევძლებთ კი არა, უკვე კარგა ხანია შესრულებული გვაქვს ყოველგვარი ნორმატივი და ისეთი ენერგიით ალგავსებს ამ ტემპით მუშაობა, ერთ დღეს შეუფერხებლად რომ გამოვიდეს გაზეთი, საოცრად დაგვწყდება გული.

ხომ არ დაიღალე, მკითხველო?

ჯერ ნუ გადადებ წერილს გვერდზე და ნუ იფიქრებ, თუ შუქი მოვიდა, კომპიუტერი მოაბრუნეს და გაზეთიც დააკაბადონეს, სხვა რაღა პრობლემა უნდა შეხვდეთ, გამოსულა ახალი ნომერი და ეგ ყოფილაო... ახლა სტამბაში იწყება მარათონი — მიიტან გაზეთს და ან დაგხვდება შუქი — ან არა.ყინვისგან გაფერმკრთალებული მუშები დგანან და ელიან, როდის მოვრჩებით ჩვენ აქეთ-იქით სირბილს. „ხელცარიელი“ ხომ ვერ მიხვალ — თან უნდა გქონდეს შენი საბეჭდი ფორმები და ქაღალდი (ამათი შოვნა კი ადვილი არ გეგონოთ. ვისაც არ გჯერათ, თავად სცადეთ). მერე შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ფორმა დასხივებულია და (ფული რომ ტყუილად გადაყარე, ეს· — არაფერი) გაზეთის დაბეჭდვის საკითხიც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. ღმერთი, რჯული, სტამბის ყველა თანამშრომელი გეხმარება, რაც შეუძლია, მაგრამ ან მათ რა ქნან, როცა სიცივისგან საღებავი იყინება, ფორმის გასამჟღავნებელი ხსნარი არ აქვთ, საბეჭდი მანქანის ლილვაკები მწყობრიდანაა გამოსული და თქვენ რომ ჩვენს გაზეთში ტექსტის მაგიერ დიდ შავ-თეთრ ლაქებს — ფონებს ხედავთ, სწორედ ამითაა გამოწვეული.

ასეა დილის 6-7 საათისთვის შეიძლება მორჩეს ეს „მარათონი“ და კიდევ რაიმე გაუთვალისწინებელი თუ არ მოხდა, თქვენ გაზეთს მიიღებთ ჩვენთვის კი ყველაფერი თავიდან იწყება.

ხშირად, თუ ტელეფონი მუშაობს და პრესკონფერენციის ან ინტერვიუს გადადებას გვაცნობებენ, გვიხარია, რადგან მაგიდაზე რამდენიმე ხნით ჩამოვიძინებთ, ისიც გვახარებს, როდესაც ინტერვიუერი დროულად მიგვიღებს — მასალას დროზე მოვამზადებთ. მოკლედ, ვუძლებთ! როგორ ვუძლებთ? რატომ ვუძლებთ? — უკეთესის იმედით.

**მაია ტორაძე**

მეზობლები

## თბილისელმა სომხებმა ნობათი მიიღეს

სამი ტონა კარაქი, სამ-სამი ტონა ოსპი და თეთრი ლობიო გამოგზავნა სომხეთმა საქართველოში ჰუმანიტარული დახმარების სახით. როგორც საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოში მცხოვრებ სომეხთა კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარემ ჰენრიხ მურადიანმა აცნობა, ეს დახმარება განკუთვნილია საქართველოში მცხოვრები სომხებისთვის. დახმარებას მიიღებენ კულტურის, მეცნიერებისა და განათლების მუშაკები, ხელმოკლე პენსიონერები, მარტოხელები და ინვალიდები.

ამას გარდა, ლევონ ტერ-პეტროსიანის განკარგულებით, სომხეთმა გამოყო დიდძალი ცემენტი და სხვა საშენი მასალები აფეთქების შედეგად დაზიანებული თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური დრამატული თეატრის და ხანძრის შედეგად დაზიანებული 95-ე სომხური საშუალო სკოლის აღსადგენად. ამ მასალების 75 პროცენტი უკვე მიღებულია თბილისში. დახმარება კვლავაც გაგრძელდება.






## სტომატოლოგებისა და მომავალი სტომატოლოგების საყურადღებოდ!

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა სტომატოლოგიაში და სტომატოლოგიურ სამყაროში უახლოეს მომავალში მოსალოდნელი მკაცრი კონკურენცია პრინციპულად მოითხოვს ექიმი-სტომატოლოგის ცოდნის უწყვეტ ამაღლებას და პროფესიულ სრულყოფას.

ფირმა „უნიდენტის“ სასწავლო-პრაქტიკული ცენტრი სთავაზობს როგორც გამოცდილ, ასევე დამწყებ და მომავალ სტომატოლოგებს, შეიძინონ და შეინარჩუნონ ცოდნის თანამედროვე დონე, აითვისონ პრაქტიკული ჩვევები ახალ ტექნოლოგიებთან მუშაობისას. ზემოთ აღნიშნულს მრავალფეროვანი თემატიკის გამოყენებით ახორციელებენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიური ფაკულტეტის წამყვანი პედაგოგები კომფორტული კლინიკური ბაზის, ფანტომების, ვიდეო და სხვა თანამედროვე თვალსაჩინოებათა გამოყენებით. იმედი გვაქვს, ჩვენს სემინარებში თქვენ ადვილად იპოვნით თქვენთვის საინტერესო საკითხებს:

| | |
|---|---|
| 1. თანამედროვე საბჯენი მასალები | 1 5 მეცადინეობა |
| 2. პრაქტიკული ენდოდონტია | 1 0 მეცადინეობა |
| 3. თერაპიული სტომატოლოგიის წინაკლინიკური კურსი პრაქტიკული ჩვევების ათვისებით | 30 მეცადინეობა |
| 4. ფაიფურით, მეტალოკერამიკით და მეტალოპლასტმასით კბილთაპროტეზირება | 1 5 მეცადინეობა |
| 5. შეცდომები, გართულებები და მათი პროფილაქტიკა ორთოპედიულ სტომატოლოგიაში | 1 0 მეცადინეობა |
| და სხვა. | |

გარდა ჩამოთვლილი თემებისა ფირმა „უნიდენტის“ სასწავლო-პრაქტიკული ცენტრი დაინტერესებულ პირთათვის უზრუნველყოფს სწავლების ორგანიზებას მათთვის საინტერესო სხვა საკითხებზე.

ჯგუფებში მსმენელთა რაოდენობა შეზღუდულია. ჯგუფები კომპლექტდება წინასწარი ჩაწერით. სწავლება ფასიანია.

ჩვენთან თანამშრომლობა თქვენი პროფესიული და მატერიალური წარმატების საწინდარია.

„უნიდენტი“ გადაგიჭრით ყველა პრობლემას სტომატოლოგიაში.

მოგვმართეთ ყოველდღე, გარდა კვირისა. სასურველია სამშაბათს და პარასკევს 10სთ-დან 11 სთ-მდე.

ჩვენი მისამართია: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიური პოლიკლინიკა ფირმა „უნიდენტის“ სასწავლო-პრაქტიკული ცენტრი.
380002, თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი 126. ტელ: 96-71-26.



მედიცინა

# მხოლოდ ჰუმანიტარული დახმარების იმედად — როდემდე?!

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემა უმძიმეს მდგომარეობაშია. თუ უმოკლეს დროში არ გადაიდგა გაბედული ნაბიჯები, არ განხორციელდა გადამჭრელი ღონისძიებები დარგის საფუძვლიანი რეფორმისთვის, ჯანმრთელობის დაცვის სფეროს თვალსა და ხელს შუა შემოადნება დღეს არსებული, თუნდაც არასრულყოფილი პოტენციალი — პროფესიონალები საზღვარგარეთ გაემგზავრებიან ბედის საძიებლად, მოძველდება არც თუ ისე ახალი ტექნიკა, გაპარტახდება სტაციონარები და ა.შ. ცნობილია, რომ ჯანმრთელობის დაცვა უაღრესად ძვირადღირებული ფუფუნებაა და ბევრად განსაზღვრავს ამა თუ იმ სახელმწიფოს სოციალური კეთილდღეობის დონეს. ამიტომ, თუ გვსურს თანამედროვე ევროპულ ცივილიზაციაში ღირსეული ადგილის დაკავება, მხოლოდ ჰუმანიტარული დახმარების ხარჯზე ამას ვერ შევძლებთ და ჯანდაცვის სისტემას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ.

ამ პრობლემებზე საუბარი „კავკასიონში“ უკვე დაიწყო. წინა ნომრებში მკითხველს შევთავაზეთ ინტერვიუ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილესთან თენგიზ ჯინჯოლავასთან, დაიბეჭდა მასალა სასწრაფო სამედიცინო სამსახურის შესახებ. დღეს გთავაზობთ თბილისის ორი სტაციონარის — სამედიცინო აკადემიის კლინიკის მთავარი ექიმის **ანზორ ცინცაძის** და რესპუბლიკის ფსიქიატრიული კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმის **აბელ მამარდაშვილის** მონოლოგებს.

**ანზორ ცინცაძე:** სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა დიდ პრობლემებს ქმნის. უფრო სწორად, პრობლემები უკვე შექმნილია. ჩვენ კრიზისიდან გამოსავალს ვეძებთ. მე ექიმი ვარ, მაგრამ ამ ბოლო დროს უამრავ სამეურნეო წვრილმანში მიხდება გარკვევა. ყველაფერი ადგილზე უნდა მოვაგვაროთ. ამჟამად ელექტროენერგიისა და წყლის პრობლემა გვაწუხებს. მედიკამენტების დეფიციტს განვიცდით, თუმცა უნდა ითქვას, რომ შარშან ჰუმანიტარული დახმარებით ურიგოდ არ მოვმარაგებულვართ. წელსაც გვაქვს ამის იმედი, სამინისტროც დაგვეხმარება. ჩვენც ვეცდებით ხელშეკრულება დავდოთ კერძო ფირმებთან.

კლინიკის ტერიტორიაზე 5 დიდი შენობაა. არიან არენდის მსურველები, მაგრამ ჯერჯერობით თავს ვიკავებთ, რადგან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რას მოხმარდება არენდით გაცემული შენობა. გასართობად და სალაზღანდაროდ არ გავაქირავებთ.

სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა მკაცრი პროცესია. კლინიკის ხელმძღვანელობა არ გაათავისუფლებს არც ერთ ექიმს, მაგრამ ვისაც ავადმყოფი არ ეყოლება, იძულებული გახდება წავიდეს, რადგან სახელმწიფო დოტაცია მოიხსნება — გამოყოფილი ბიუჯეტი სამედიცინო პერსონალის შენახვაზე გათვალისწინებული არ. არის.

მე მსურს, რომ ავადმყოფს მკურნალობა რაც შეიძლება ნაკლები თანხა დაუჯდეს. მოსახლეობის უმრავლესობას მკურნალობის საფასურის გადახდა გაუჭირდება. ყოფილა შემთხვევა, რომ საოპერაციოდ მოსული კაცი სირცხვილისაგან იწურებოდა — ფული არ მაქვსო. უარით როგორ გავისტუმრო? ამიტომ მოსახლეობა ჯანდაცვის ფონდის სასარგებლოდ ხელფასიდან ერთპროცენტიან დაქვითვას გაგებით უნდა შეხვდეს. აი, ასეთი ვითარება გვაქვს დღეს.

**აბელ მამარდაშვილი:** საშინელ მდგომარეობაში ვართ. არაფერი არა გვაქვს. ელექტროენერგია, წყალი, თეთრეული, წამლები — ყველაფერი დეფიციტია. ჰუმანიტარული დახმარებიდან თუ მოგვცემენ რამეს, ვაჭმევთ ავადმყოფებს. საჭმელს, შეიძლება ითქვას, შუაცეცხლზე ვამზადებთ. ავადმყოფებს ვერ ვბანთ. პაციენტების რიცხვი საავადმყოფოში საგრძნობლად იკლო, რადგან პატრონს ურჩევნია ავადმყოფი სახლში მოუკვდეს, ვიდრე აქ. სიკვდილის შემთხვევაში ზოგიერთს არც აკითხავენ, თქვენ დამარხეთო.

ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტები განსაკუთრებული ავადმყოფები არიან. მათ მოვლა სჭირდებათ. სახელმწიფომ ფსიქიატრიის დარგი დოტაციაზე დატოვა, მაგრამ გამოყოფილი თანხა, დღევანდელი მოთხოვნილების ფონზე, ძალზე უმნიშვნელოა. უცხოელები გვეხმარებიან, მადლობა მათ, მაგრამ ჩვენ, ჩვენც ხომ გვყავს საქმიანი ხალხი. თუმცა... ამ საქმეში ჩადებული ფული მოგებას ვერ მოგცემს. ასეა?!

მოამზადა

**ზაზა ფაჩუაშვილმა**

კავკასიონი
ოთხშაბათი, 25 იანვარი, 1995
ეროვნული ბიბლიოთეკა

კინო — 100

ერიჰ ფონ შტროჰაიმი

# პრდავიწყება ოსტატისა

**120 წლის წინ, 1875 წლის 22 იანვარს დაიბადა დევიდ უორკ გრიფიტი, მსოფლიო კინოს კლასიკოსი, „კინოს მართლწერის შემქმნელი“. მკითხველს ვთავაზობთ ნაწყვეტებს ცნობილი ამერიკელი რეჟისორისა და მსახიობის, გრიფიტის კოლეგისა და მოწაფის ერიჰ ფონ შტროჰაიმის წერილიდან დიდი რეჟისორის შემოქმედებაზე, რომელიც მან 1948 წლის 30 დეკემბერს რადიოთი წაიკითხა.**



გრიფიტის გვერდით გატარებული ოთხი წლის მანძილზე შევძელი უკეთ გამეცნო ეს დიდი ადამიანი, ვიდრე მასთან მომუშავეთა უმრავლესობამ. მათ — იმედი მაქვს უმცირესობას — ვისაც არაფერს ეუბნება დევიდ უორკ გრიფიტის სახელი, შემიძლია ვუთხრა, რომ იგი პიონერი იყო კინოს სამყაროში, მას ეკუთვნის პირველი აღიარებული ფილმები: „ერის დაბადება“, „შეუწყნარებლობა“, „გზ დ აღმოსავლეთისკენ“. ...სწორედ მან დაამკვიდრა პირველმა სილამაზე და პოეზია იაფფასიან ილუზიონში. ადრე, დახვეწილი გემოვნების ხალხი ხომ დარცხვენილი შედიოდა კინოთეატრში, მატარებლის მოლოდინში დროის მოსაკლავად, ან უამინდობისგან თავის დასაღწევად. გრიფიტმა შემოიღო ფართო პლანი, რომელიც ლატაკს საშუალებას აძლევდა, ყველაზე საინტერესო მომენტი უკანასკნელ წვრილმანამდე დაენახა, ისევე როგორც თეატრის მდიდარ მაყურებელს ბინოკლით. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ფილმებში თავად გრიფიტი წყვეტდა, რა როგორ ეჩვენებინა ლატაკ ქანდარაზე მსხდომთათვის.

პერსონაჟის ფართო პლანი მოწოდებული იყო მაყურებლის ყურადღება მიექცია ადამიანის განცდებზე, მის რეაქციაზე, სახის გამომეტყველებაზე, ხოლო ფართო პლანით წარმოდგენილი საგანი ხაზს უსვამდა მის მნიშვნელობას სიუჟეტის განვითარებისთვის. ეს გამოგონება გრიფიტს ეკუთვნის. კინოთეატრებისა და სტუდიების მეპატრონეებმა იგი შეშლილად ჩათვალეს, უარს ამბობდნენ მისი ფილმების დემონსტრირებაზე: „არავის სჭირდება სხეულის უაზრო ნაფლეთები, ვინ მოისურვებს უცნობ ადამიანებს ფეხების გარეშე?“. მაშინ კინოში მთავარი მოძრაობა იყო; არავის ადარდებდა, ეს მოძრაობა აზრს გამოხატავდა თუ არა, რომ იგი ელვარე ენერგიის მუხტს იფარავდა. დღეს, 50 წლის შემდეგ ფართო პლანი წარმატებით გამოიყენება თითქმის ყველა ფილმში.

გრიფიტმა პირველმა გააცნობიერა ბოლომდე კინოს შესაძლებლობები. მისი დამსახურებაა, რომ კინო ყველაზე პოპულარული და, მაყურებელზე ზეგავლენის ძალით, უბადლო გასართობი საშუალებაა. პირველად მისმა სურათებმა მოიზიდეს კინოთეატრში ინტელიგენცია.

გრიფიტი აგრეთვე პირველი იყო, ვინც თავის წმინდა მოვალეობად თვლიდა ბუნებრიობის მიღწევას დეკორაციის, კოსტიუმების, წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების გადმოცემისას. კინემატოგრაფიის გარიჟრაჟზე ხომ გაცილებით რთული იყო ამის გაკეთება, ვიდრე ახლა.

გრიფიტს ღრმად ჰქონდა გააზრებული, რომ ფილმს შემეცნებითი ღირებულებაც აქვს და ამიტომ, დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა უმცირესი დეტალის დამუშავებასაც კი. სწორედ იგი მივიდა პირველად დასკვნამდე, რომ ფსიქოლოგიური ეფექტისთვის, თუნდაც მსახიობისთვის სწორად შერჩეულ კოსტიუმს დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი იწვევდა თეატრის „ვარსკვლავებს“, რადგან თვლიდა, რომ მათი აქტიორული მონაცემები კინოს მხატვრული დონის ამაღლებაში დაეხმარებოდა; მასთან მუშაობდნენ სახელმოხვეჭილი მსახიობები: ჰერბერტ ბირბომ-ტრი, კონსტანს კოლიერი, დუგლას ფერბენქსი.

გრიფიტმა აწეთი შემსრულებლების დახმარებით კინემატოგრაფი საუკეთესო თეატრალური დადგმების სიმაღლეზე აიყვანა. იგი რომ უდიდესი რეჟისორი არ ყოფილიყო კინოს ისტორიაში, დიდი პოეტი იქნებოდა ან დიდი მხედართმთავარი, ანდა სულაც რომის პაპი — რატომაც არა? ერთი უეჭველია: რისთვისაც არ უნდა მიეძღვნა მას თავი, ყველაფერში სიდიადეს მიაღწევდა. საფრანგეთში მაგალითად, თუ ერთი კარგი წიგნი დაწერე, ან ერთი მშვენიერი ტილო შექმენი, გადაიღე ერთი ბრწყინვალე ფილმი, უკვე სახელოვანი შემოქმედი ხარ და თაყვანს გცემენ, შენს წინაშე ქუდს იხდიან, მეტრს გიწოდებენ. იქ არ გივიწყებენ. ჰოლივუდში ყველაფერი სხვანაირადაა, აქ შენი ბოლო ფილმის მიხედვით მსჯელობენ და თუ სამი თვის განმავლობაში არაფერს გააკეთებ, ძველი დამსახურებების მიუხედავად, არავინ გაგიხსენებს. არადა, აღიარებისთვის დაუცხრომელი ბრძოლა, კინოში მომუშავეთ რომ ახასიათებთ, ახალბედების განუწყვეტელი ზრუნვა, ლიდერთა შორის მოხვდნენ, გარდაუვალს ხდის ვეტერანების მივიწყებას.

დევიდ გრიფიტის უკანასკნელ ფილმს მისი დიდებისთვის არაფერი შეუმატებია. ფილმის პროდიუსერი თავიდანვე ჭოჭმანობდა — ეს სამუშაო გრიფიტს მეგობრებმა მოუძებნეს.

ზოგს, ვისაც არ ესმოდა გრიფიტის, ეშინოდა, რომ ოსტატის მეთოდი მოძველდა და დაუნიშნა ახალგაზრდა ასისტენტები, რომელთაც ვითომ უკეთ უწყოდნენ თანამედროვე მაყურებლის მოთხოვნები. ადამიანი, ვინც თავად ქმნიდა ყველა სურათის სიუჟეტს (და მხოლოდ გონებაში, იგი არასდროს იყენებდა გადასაღებ მოედანზე ჩანაწერებს), ფილმი სხვისი სცენარის მიხედვით უნდა გადაეღო. მას აღარაფერზე უწევდა ფიქრი: ყველაფერი უკვე დალეჭილი და გადაწყვეტილი იყო — მხოლოდ კონტრაქტის პირობები უნდა შეესრულებინა. ბუნებრივია, რომ ამ სურათს წარმატებები არ მოჰყოლია, იგი არ იყო ღირსი თავის შემოქმედის სახელისა.

მსოფლიოს კინოს გენიოსი, რომლის სწორი არცა ყოფილა და შესაძლოა აღარც იქნეს, გაჭირვებაში გარდაიცვალა, ყველასგან მივიწყებული. გარდაიცვალა ჰოლივუდში, მსოფლიოს ყველაზე უმოწყალო ქალაქში.

თარგმნა

**მალხაზ ხარბედია**

მოზაიკა

## ანტონიონის მეტყველების უნარი დაუბრუნდა

იტალიის საკურორტო ქალაქ პორტოფინოში მიქელანჯელო ანტონიონიმ დაიწყო თავისი მეჩვიდმეტე ფილმის „ღრუბლებს ზევით“ გადაღება. 82 წლის მაესტროს სურათზე მუშაობაში გერმანელი რეჟისორი ვიმ ვენდერსი ეხმარება.

ავტორი კინემატოგრაფიული შედევრებისა „ღამე“, „დაბნელება“, „წითელი უდაბნო“, „პროფესია-რეპორტიორი“ და სხვა, 1986 წლიდან, ანუ მას შემდეგ, რაც დამბლის შედეგად მეტყველების უნარი წაერთვა, ფილმებს აღარ იღებდა.

ახალი ფილმი ოთხ სასიყვარულო ისტორიას ეხება. მასში მონაწილეობენ: ფანი არდანი, სოფი მარსო, ირენ ჟაკობი, კიმ როსი, ინეს სასტრი, ჯონ მალკოვიჩი, ვენსენ პერეზი. ფილმზე, რომლის ბიუჯეტი არც თუ ისე დიდია (დაახლოებით 9 მილიონი დოლარი), მუშაობის დაწყება ფინანსების უქონლობის გამო ფერხდებოდა. ბოლოს და ბოლოს, პრობლემა იტალიური, ფრანგული და გერმანული კაპიტალების დახმარებით გადაიჭრა.

ფილმი შემდეგი წლისთვის დასრულდება და ვენეციის ან ბერლინის ფესტივალზე აჩვენებენ.

**ნათია ფანჯიკიძე**

რომელ დღეს რა მოხდა

## 25 იანვარი

1835 — პარიზში გამართა ვინჩენცო ბელინის ოპერა „პურიტანების“ პრემიერა, ლიბრეტო ეკუთვნოდა კ.პეპოლის.

1852 — პეტერბურგში გაიმართა ანტონ რუბინშტეინის ოპერა „დემონის“ პრემიერა, ლიბრეტო ეკუთვნოდა პ.ვისკოვატოვს, მ.ლერმონტოვის პოემის მიხედვით.

1955 — ნიუ-იორკში უილიამ ფოლკნერს გადაეცა ნაციონალური პრემია ლიტერატურის დარგში რომანისთვის — „იგავი“.

დედამიწის საიდუმლო

# პიროგენიის ფენომენი დღემდე ამოუცნობია

მიუხედავად ადამიანთა თვითწვის უამრავი მაგალითისა, ოფიციალური მედიცინა ამ ფენომენს აბსურდად თვლის. მართლაცდა, როგორ შეიძლება დაიწვას ადამიანი, როცა მისი სხეულის ორი მესამედი წყლისა და უწვავი ქსოვილისგან შედგება. იგი მთლიანად მაშინ იწვება, როცა წვის ტემპერატურა 1000 გრადუსს გადაამეტებს, თანაც ამ ტემპერატურაზე დაჰყოფს რამდენიმე საათს. რაც ჩვეულებრივ პირობებში უბრალოდ შეუძლებელია...

და, მიუხედავად ამისა, ამერიკელი ჯეკ ენჯელი სხვა აზრისაა. ოდესღაც იგი კომერსანტი იყო და წელიწადში 70000 დოლარი შემოსავალი ჰქონდა. ახლა კი ხეიბარია და სიარული არ შეუძლია. 1974 წლის 16 ნოემბერს მას თავის ავტოფურგონში ეძინა. მოულოდნელად მწარე ტკივილმა გამოაღვიძა — იგი იწვოდა! ცეცხლის ალი მკერდიდან და მარჯვენა ხელიდან ამოსდიოდა. კემპინგის ექიმმა დევიდ ფერნმა დაზარალებულის გულმკერდში უზარმაზარი ნახვრეტი, გამლღვალი ხერხემალი და გამქრალი ხელი დააფიქსირა, რომელიც შიგნიდან დაიწვა, რასაც ადგილ-ადგილ შემორჩენილი კანისა და ძვლებისგან დარჩენილი ფერფლი ადასტურებს, მაშინ, როცა პიჟამო მთელი და დაუზიანებელი იყო.

ექიმმა ფერნმა დაასკვნა, რომ ჯეკ ენჯელი თვითწვის ფენომენის უცნობი მოლეკულარული რეაქციის — რომელსაც შინაგანი ცეცხლი იწვევს, — მსხვერპლი იყო. თვით ჯეკი, რომელიც სიკვდილს სასწაულით გადაურჩა, დიდხანს ეწინააღმდეგებოდა ამ დიაგნოზს და ჯიუტად ამტკიცებდა, რომ ყველაფერი ავტოფურგონების მწარმოებლების ბრალი იყო, რადგან ავტომანქანა ცეცხლს ვერ უძლებს და ადვილად ალდებაო. ორ წელზე მეტხანს იკვლევდნენ სასამართლო სპეციალისტები მანქანას წუნის აღმოსაჩენად, მაგრამ ამაოდ. სამი მილიონი დოლარი, რომლის გადახდასაც ჯეკი მოითხოვდა, ოცნებად დარჩა, ხოლო გამოცანა გამოცანად.

სამხრეთ აფრიკული ჟურნალი „პერსონალისტი“ წერდა, ასეთი სახის გამოუცნობი მოვლენები მსოფლიოს ისტორიაში იშვიათობა სულაც არ არისო. ადამიანის სხეულის ან მისი ცალკეული ნაწილების თვითწვა უძველესი დროიდან არის ცნობილი. ხოლო მისი მსხვერპლნი, უფრო მეტი გამოუცნობი მიზეზების გამო, ალკოჰოლის მიღებისკენ მიდრეკილი მსუქანი ქალები იყვნენ. 300 წლის წინათ ხალხი მას „განმწმენდ ცეცხლს“ უწოდებდა — უწესო ცხოვრების გამო მოვლენილ უფლის სასჯელს. უკანასკნელი სამი საუკუნის განმავლობაში თვითწვა მრავალ ადამიანს დაატყდა თავს, განურჩევლად სქესისა, რასისა და პროფესიისა.

ადამიანის თვითწვის პირველი შემთხვევა, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა, XVIII საუკუნეში მოხდა. 1725 წლის 19 თებერვლის ცივ საღამოს, პარიზის ერთი პატარა სასტუმროს მეპატრონის ჟან მილეს ცოლი სარდაფში ჩავიდა და თან, ჩვეულებრივ, ერთი ბოთლი ბურგუნდიული ღვინო ჩაიყოლა. სახლში ამისთვის განსაკუთრებული ყურადღება არავის მიუქცევია, რადგან ქალს დიდი ხანია შეამჩნიეს სპირტიანი სასმელებისადმი ავადმყოფური მიდრეკილება.

დაახლოებით ღამის ორ საათზე ჟან მილე დამწვრის სუნმა გამოაღვიძა. მან სწრაფად ჩაიცვა და სარდაფს მიაშურა, სამზარეულოში თავისი უბედური ცოლის ოდნავ მბოლავი დანაცრული ნარჩენები აღმოაჩინა, ხოლო ქალის საყვარელი სავარძელი, რა უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, თითქმის დაუზიანებელი იდგა.

გამოძიების დასაწყისში ჟან მილე დაადანაშაულეს, სასჯელს მხოლოდ იმ უცნაური გარემოების გამო გადაურჩა, რომ დაწვას მისი მეუღლის ტანსაცმელიც კი გადაურჩა. ახალგაზრდა ექიმმა, გვარად ლე შამ, რომელიც იმ ღამეს სასტუმროში ათევდა, მოსამართლეებს დაუმტკიცა — არავის ძალუძს ადამიანის სხეულს ისე გაუჩინოს ცეცხლი, რომ ირგვლივ მდებარე საგნები არ დააზიანოსო.

1781 წელს ჟურნალი „ჯენტლმენს მეგეზინი“ იუწყებოდა კასენელი გრაფინია ბანდის იდუმალებით მოცულ სიკვდილს. მისი სხეულის მხოლოდ თავი, სამი თითი და ფეხები გადაურჩა დაფერფვლას. იატაკსა და საწოლზე ცეცხლის კვალსაც ვერ მიაგნეს.

დოქტორ ბერტჰოლის ანგარიშში, რომელიც 1869 წლის აგვისტოს თვეშია შედგენილი, ლაპარაკია ქალზე, რომელიც საკუთარ ბინაში იპოვეს, რომლის სხეულიც, მნახველთა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისე გამოიყურებოდა, თითქოს აგუგუნებული ღუმელიდან გამოუღიათო. ირგვლივ ყველაფერი გადარჩენილი იყო, მხოლოდ იატაკი ოდნავ დამწვარიყო ზუსტად იმ ადგილას, სადაც ცხედარი ესვენა.

1907 წლის 13 მაისს ინდურ გაზეთ „მადრას მეილში“ დაიბეჭდა ორი კონსტებლის ჩვენება, რომლებმაც დამწვარი ქალი აღმოაჩინეს. დამწვარ სხეულზე ტანსაცმელი მთლიანად შემონახული იყო. ინგლისური გაზეთი „დარტფორდ ქრონიკლი“ 1919 წლის 7 აპრილს იუწყებოდა მწერალ ჯ.ტემპლ ჯონსონის სიკვდილს, იგი საკუთარ ბინაში იპოვეს მკვდარი — სხეულის ქვედა ნაწილი სრულიად დამწვარი ჰქონდა, მაგრამ ტანსაცმელსა და სხვა საგნებს ცეცხლის კვალი არ ემჩნეოდა.

1938 წლის ოქტომბერში თვითწვის აუხსნელი შემთხვევა მოხდა ინგლისის ერთ საცეკვაო დარბაზში. დაიწვა ცხრამეტი წლის მდივანი გოგო მეიბლ ენდრიუსი, რომელიც თავის საქმროსთან — ვილიამ კლიფორდთან ერთად ნელა ცეკვავდა. ცეცხლის ენები მოულოდნელად ამოეჭრა მკერდიდან და ზურგიდან. დარბაზის შუაში რამდენიმე წამს გაბრიალებული ჩირაღდანი იდგა. როცა მისი საქმრო და სხვები გონს მოეგნენ და ცეცხლს ჩაქრობა დაუწყეს, მათ წინ უკვე დამწვარი სხეული იყო. ვილიამ კლიფორდი, რომელმაც ხელების მძიმე დამწვრობა მიიღო, დიდხანს უმტკიცებდა პოლიციელებს, რომ სიგარეტი არ მოუწევია, ხოლო დარბაზის მეპატრონე იფიცებოდა — დარბაზში ცეცხლი არ ენთოო. მოგვიანებით ეს ყველაფერი დამტკიცდა, ხოლო საქმეში დარჩა ჩანაწერები — ცეცხლი უშუალოდ გოგონას სხეულიდან გამოვარდაო.

ცხადია, იმის ბევრი მაგალითიცაა ცნობილი, როცა დაწვა წინასწარგანზრახვით არის ჩადენილი, რათა დამნაშავეებმა მეცნიერების მიერ დაუდგენელი უცნობი მოვლენის ნიღაბქვეშ მოხერხებულად დამალონ თავიანთი დანაშაული. მაგრამ არსებობს მრავალი შემთხვევა, რომლებიც კრიმინალურ ვერსიას გამორიცხავენ. მაგალითად, ლონდონელ ინჟინერ პოლ ჰეისს დღისით მზისით, ხალხმრავალ ქუჩაში თავზე და მკერდზე მოულოდნელად მოედო ცეცხლი. პოლმა ინსტიქტურად თვალები და სახე ხელებით დაიფარა და გაქცევა სცადა, მაგრამ ცეცხლმა ძირს დასცა. მალე, ასევე მოულოდნელად, ალი გაქრა. პოლი გადარჩა. ეს მოხდა 1985 წლის 25 მაისს. მას ცეცხლმა მხოლოდ სახე, კისერი და ხელები დაუწვა. მაგრამ ბედი ყველას როდი სწყალობს. ილინოისის შტატელი ოთხი თვის პატარა რიკი პრუტი თავისი მშობლებისა და მათი მეგობრების თვალწინ დაიღუპა. დაუნდობელი ცეცხლის ენები სრულიად მოულოდნელად მოედო ჩვილის სხეულს და რამდენიმე წამში ბავშვი ჩანაცრა.

რაიმე კანონზომიერი დასკვნების გამოტანა პიროგენიის (ადამიანებისა და საგნების სპონტანური თვითწვის მეცნიერული დასახელება) გამომწვევ მიზეზებზე შეუძლებელია.

იგი ყველგან არსებობს და ყოველგვარ მდგომარეობაში დაუნდობელია. სპეციალისტებს კი ისღა დარჩენიათ, აღრიცხონ ახალ-ახალი ფაქტები, დაადგინონ, სად და როდის მოხდა პიროგენიის ესა თუ ის შემთხვევა.

ხშირად ესეც საკმაოდ ძნელია, რადგან განსაზღვრულ სიტუაციებში თვითწვის ფენომენის დამტკიცება საზოგადოებისთვის ძნელდება. ასეთი სიტუაციები უფრო პირადი ავტომობილების ავარიებთან არის დაკავშირებული. ამერიკელი ბილ პიტერსონი უეცრად დაიწვა, როცა ავტომობილს დეტროიტის ავტოსადგომზე აყენებდა. როცა მისი დამწვარი სხეული ამოიღეს, აღმოაჩინეს, რომ ავტომობილში ძალზე მაღალი ტემპერატურა იყო და მართვის პულტის ზოგიერთი დეტალი სულ გამდნარიყო. ასეთივე შემთხვევა მოხდა 1964 წელს, სამოცდათხუთმეტი წლის ოლღა სტივენსონმა თავისი ავტომობილი დალასის ერთ-ერთ ქუჩაზე გააჩერა, გამვლელებმა დაინახეს საჭესთან მჯდარი მოხუცი ქალი სულ რაღაც რამდენიმე წამის განმავლობაში როგორ გაეხვია ცეცხლის ალში. იგი იმ წამსვე მოკვდა. ორივე შემთხვევაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, პოლიციელები ეძებდნენ ტერორისტებს, ხოლო იმ ფაქტისთვის, რომ არც ერთსა და არც მეორე ტრაგედიის დროს სრულიად არ დამწვარა ტანსაცმელი, ყურადღება არ მიუქცევიათ. გარდაცვლილების ტანსაცმელი შეტრუსულიც კი არ იყო...



კიდევ ერთმა არანაკლებ იდუმალებით მოცულმა შემთხვევამ ჩიხში შეიყვანა პოლიცია. ეს მოხდა 1966 წლის 5 დეკემბერს კუდერსპორტში, პენსილვანიაში. გაზის კომპანიის თანამშრომელი დინ გოსნელი გაზის მოხმარების აღმრიცხველებს ამოწმებდა. ოთხმოცდათორმეტი წლის ჯონ ბენტლის სახლთან მივიდა და ზარი დარეკა. მან იცოდა, რომ მოხუცი ჯოხების დახმარებით მოძრაობდა და არ გაოცებულა, როცა კარის გასაღებად არავინ მოვიდა. იგი შევიდა სახლში და კიბით სარდაფში ჩავიდა, აღმრიცხველის ჩვენების ამოსაწერად. იქ მან ფერფლის გროვა შენიშნა. საიდან მოხვდა ეს ფერფლი აქო, გაოცდა. მას რომ ჭერისთვის შეეხედა, ნახვრეტს დაინახავდა, საიდანაც კარგად ჩანდა სააბაზანოს შიგნითა ნაწილი. ფერფლი ამ ნახვრეტით ჩამოცვივდა სარდაფში.

გოსნელმა ექიმს გამოუძახა. ჰაერში ჯერ კიდევ იგრძნობოდა კვამლის სუნი. იგი წავიდა, რომ ენახა საიდან მოდიოდა ეს „უცნაური მოტკბო სუნი“. მან სააბაზანოს კარი გააღო და თავზარდაცემული იატაკზე გაიშხლართა.

ორივე ბოლო მომწვარი ბენტლის ჯოხი იატაკზე ეგდო, იქვე ეყარა ისიც, რაც მოხუცის სხეულიდან გადარჩენილიყო — თითქმის კოჭამდე დამწვარი მარჯვენა ფეხი.

ადამიანის თვითწვის ბოლო შემთხვევა 1991 წლის სექტემბერში მოხდა ბრაზილიაში, გუანო-ბარას ყურეში. ასეულობით დამსვენებელმა დაინახა ოცდაშვილი წლის კარმენ დე პატროს ყურებიდან, პირიდან და ცხვირიდან როგორ გამოვარდა ცეცხლის ენები. ქალი ცდილობდა გასაბერი ლეიბიდან ადგომას, მაგრამ ვერ ადგა. ცხვირიდან და ყურებიდან გამოსული კვამლი ნელ-ნელა გასქელდა. „ვიწვები! ხალხო, მიშველეთ!..“ — ყვიროდა იგი. რამდენიმე წამის შემდეგ იგი მთლიანად გაეხვია ცეცხლის ალში.

— დამსვენებლები ეცადნენ მის გადარჩენას, აყრიდნენ სილას, ასხამდნენ წყალს, — თქვა პოლიციის კომისარმა კარნიერო ანასტასიომ, — მაგრამ უშედეგოდ. საზარელი ცეცხლი იყო, თითქოს ნაპალმი გიზგიზებსო. ვერ მივხვდით, რატომ გაუჩნდა ცეცხლი. მხოლოდ საცურაო კოსტიუმი ეცვა და არ ეწვოდა. ჰაერის ტემპერატურა 28 გრადუსი იყო, ცხელოდა, მაგრამ ძალიან არა, და ამ დაწვას ლოგიკური ახსნა ვერ მოვუძებნეთ...

პიროგენიის დარგის თანამედროვე სპეციალისტები როგორ ხსნიან ამ უცნაურ მოვლენას? სამხრეთაფრიკელი პროფესორი ჯერ ვან სტრეიპის აზრით, რამდენიმე ვარიანტია დასაშვები. პირველი უფრო ნათელია: ჩვენს სხეულში საკმაოდაა ნივთიერებები, რომლებიც ერთმანეთთან ან ჰაერთან შეხებისას იწვის, მაგალითად, ფოსფორი. შეიძლება, რომელიმე განსაზღვრულ პირობებში, სუფთა ფოსფორი, რომლის წარმოქმნაც ჩვენთვის უცნობია, ჟანგბადთან შედის რეაქციაში, რის შედეგადაც ხდება ცეცხლოვანი აფეთქება.

მეორე ვარიანტი დაკავშირებულია ჩვენი ორგანიზმის პოტენციურად „ხანძარ საშიში“ და სხვა ნივთიერებების თანხვედრასთან, მაგ.: გაზები, ცხიმები. საბედისწერო აფეთქებლის როლში კი ნაპერწკალი გამოდის, რომელიც თეორიულად შეიძლება წარმოიქმნას ცალკეული შინაგანი ორგანოების ელექტროსტატიკური პოტენციალების სხვაობის გამო.

ასეთია პროფესორ ვან სტრეიპის თვალსაზრისი. ერთმა დასავლეთევროპელმა მეცნიერმა, რომელიც პიროგენიის ფენომენს იკვლევს, წამოაყენა ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც, თვითწვას უკავშირებს ადამიანის ემოციურ მდგომარეობას, ანუ უძლიერეს სტრესებს.

საკითხისადმი ამგვარი მიდგომა სიმშვიდის საბაბს არ იძლევა. ამ ჰიპოთეზიდან გამომდინარე, უახლოეს ხანში კაცობრიობის ნახევარზე მეტი მაინც დაიწვება...

უცხოეთის პრესის მიხედვით მოამზადა

**ზურაბ უზილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

## ვალდერამა უკმაყოფილოა



კარლოს ვალდერამა

როგორც ჩანს, კოლუმბიის ნაკრების კაპიტნის — კარლოს ვალდერამას დებიუტი არგენტინის კლუბ „ნიუელს ოლდ ბოიზში" არ „შედგა". ფეხბურთელი არგენტინაში ჩასვლისთანავე 64 ათასი დოლარის მიღებას ვარაუდობდა, რაც კონტრაქტის საერთო თანხის 8 პროცენტს შეადგენს. ამის ნაცვლად, კლუბის სალაროში მას 10-დან 20 დღის განმავლობაში გასანაღდებელი ჩეკები შესთავაზეს, რაზეც ვალდერამამ უარი განაცხადა და აგრძნობინა კლუბის ხელმძღვანელობას, რომ მისდამი ამგვარი დამოკიდებულებით იგი საშინლად განაწყენებულია.

## იებოამ „ლიდსი" გააბედნიერა



ენტონი იებოა

ინგლისის ხელისუფლებამ ენტონი იებოას ქვეყანაში მუშაობის ნება დართო. „ლიდს იუნაიტედმა" განელ თავდამსხმელში ფრანკფურტის „აინტრახტს" 3,4 მილიონი დოლარი გადაუხადა. იებოამ ახალ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „ლიდსის" ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ბედნიერია გუნდში ასეთი ვარსკვლავის მოსვლით.

ფარიკაობა

## ქართველი „მუშკეტერები"

25-28 იანვარს ირანში ამ ქვეყნის დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი ტრადიციული დიდი საერთაშორისო ტურნირი გაიმართება. ასპარეზობაში საქართველოს გარდა ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებიდან სომხეთის, აზერბაიჯანის, უზბეკეთისა და რუსეთის გუნდებიც მიიღებენ მონაწილეობას (საინტერესოა, რომ ქალაქი, სადაც ასპარეზობა გაიმართება, ქუვეითის საზღვრიდან 125 კმ-ით არის დაშორებული).

ჩვენი ქვეყანა 9 სპორტსმენით არის წარმოდგენილი: ხმალი — არჩილ ლორთქიფანიძე, კახა მახარაძე, ვაჟა ვაშაძე; დაშნა — ჯემალ გამიაშვილი, გოჩა ზურაბიშვილი, ალექსანდრე ზაახაშვილი; რაპირა — ირაკლი ღლანიძე, ალექსანდრე ზურაბიშვილი, ნიკოლოზ ასათიანი.

აღსანიშნავია, რომ შარშან, იმავე ტურნირში, საქართველოს ნაკრებმა წარმატებით იასპარეზა და გუნდური მეორე ადგილი დაიკავა. 9 სპორტსმენიდან 8 ფინალში გავიდა.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

## მზადება ევროპის ჩემპიონატისთვის

27-29 იანვარს ქალაქ სტამბულში ტრადიციული, დიდი საერთაშორისო ტურნირი გაიმართება, სადაც ოფიციალურად 34 ქვეყანა მიიწვიეს. საქართველოს ეროვნული ნაკრები თურქეთში დღეს შემდეგი შემადგენლობით მიემგზავრება: ჯამბულ ფუტკარაძე, თამაზ ყიფიანი (57 კგ წონითი კატეგორია), კობა გულიაშვილი (62 კგ წონითი კატეგორია), გელა კამკამიძე (68 კგ წონითი კატეგორია), ემზარ მახარაძე (82 კგ წონითი კატეგორია), ზაზა სილაგაძე (90 კგ წონითი კატეგორია), ხვიჩა ქორიძე (130 კგ წონითი კატეგორია). დელეგაციის შემადგენლობაში შედიან, აგრეთვე, ხელმძღვანელი, მსაჯი და მწვრთნელი.

აღნიშნული ტურნირი ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპია. ჩემპიონატს კი საფრანგეთის ქალაქი ბეზანსონი უმასპინძლებს. მანამდე ქართველი ფალავნები მზადების მეორე ეტაპს გაივლიან 3-5 თებერვალს ქალაქ პერმში ივანე პოდდუბნის საერთაშორისო ტურნირზე. ხოლო ბოლო, მესამე ეტაპი ნიკოლა პეტროვის სახელობის საერთაშორისო ტურნირი იქნება, რომელიც სოფიაში გაიმართება.

ჩოგბურთი

## ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე

გუშინ მელბურნში, ავსტრალიის ღია პირველობაზე, წყვილთა თანრიგის მეოთხედფინალურ მატჩში ლელა მესხი და ევგენია მანიუკოვა მსოფლიოს უძლიერეს — ნატალია ზვერევასა და ჯიჯი ფერნანდესის დუეტთან დამარცხდნენ ანგარიშით 2:6, 3:6 და გამოეთიშნენ ასპარეზობას.

## დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლისთვის თანხებს არ ზოგავენ



ურუგვაის ფიზიკური კულტურის ეროვნულმა კომიტეტმა დოპინგსაწინააღმდეგო სამედიცინო დიაგნოსტიკური ლაბორატორიის ნორმალური ფუნქციონირებისთვის დაახლოებით 250 ათასი დოლარი გამოყო.

ქართული სპორტის მატიანე

# დიდი ჟოკეი — კონსტანტინე ყოჩიაშვილი

**გასულ წელს ქ.მოსკოვში ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე 70 წელს გადაცილებულმა ჩვენმა თანამემამულემ, გამოჩენილმა ჟოკეიმ კონსტანტინე ყოჩიაშვილმა.**

**მისი სახელი, საოცარი სპორტული მიღწევები, შედარებით ნაკლებად არის ცნობილი ქართველი საზოგადოებისთვის, რაც ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ მან სიცოცხლის უდიდესი ნაწილი სამშობლოს გარეთ გაატარა. არადა, კ.ყოჩიაშვილის პიროვნება ქართველი ხალხის მხრიდან ყურადღებასა და დაფასებას ნამდვილად იმსახურებს — ის ხომ სხვადასხვა შეჯიბრებების 500-ზე მეტი პრიზის მფლობელი გახლდათ. მის თაყვანისმცემელთა რიცხვში თვით სსრკ-ს ძლიერნი ამა ქვეყნისანი — სტალინი, ბუდიონი და სხვები შედიოდნენ. ამ უკანასკნელს არაერთი პრიზი პირადად გადაუცია მისთვის.**



1951 წელი. მოსკოვი. ერთ-ერთი გამარჯვების შემდეგ ი. ბ. სტალინი მისი სადაურობით დაინტერესდა...



მარშალი ბუდიონი მორიგ პრიზს გადასცემს კ. ყოჩიაშვილს.

სანამ დიდ წარმატებებს მიაღწევდა, კ.ყოჩიაშვილმა მეტად ძნელი გზა განვლო მეჯინიბის დამხმარე ბიჭუნადან მსოფლიოში აღიარებულ ჟოკეი-ოსტატამდე. ის 13 წლის იყო, როცა გურჯაანის რაიონის მშობლიურ სოფელ ჩუმლაყიდან თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. იმ დროს საქართველოში ორი ცხენსაშენი არსებობდა: ყულარისა (მარნეულის რაიონში) და მუხროვანის (საგარეჯოს რაიონში). სწორედ აქ დაიწყო მუშაობა კ.ყოჩიაშვილმა მეჯინიბის დამხმარედ. იგი დაშჯითებით ეუფლებოდა მხედრულ ოსტატობას და თანდათანობით ბრწყინვალე ცხენოსნად ჩამოყალიბდა.

ქართულ დოღს კოტე ყოჩიაშვილი თბილისის (დიდუბის) ძველ იპოდრომზე ეზიარა. ომის დაწყებამდე მან სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებებში 100-ზე მეტი პრიზი მოიპოვა და ჟოკეის წოდებაც დაისაკუთრა. ამ დროს ახალგაზრდა კოტე მძაფრ კონკურენციას უწევდა და მხარს უმშვენებდა ისეთ სახელგანთქმულ მხედრებს, როგორებიც იყვნენ ალექსანდრე ხაინდრავა, ანდრეი ბარკოვსკი, გრიგოლ ქიქავა და სხვები. მისი წარმატებების ერთ-ერთი მიზეზი თანდაყოლილ ნიჭთან ერთად ტანმორჩილობა და მსუბუქი წონაც იყო, რაც მეტოქეებზე გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა.

ომის დამთავრების შემდეგ კ.ყოჩიაშვილმა კვლავ განაახლა სპორტული კარიერა. 1947 წლისთვის მის მიერ მოგებული პრიზების რიცხვმა 360-ს მიაღწია. ეს შთამბეჭდავი მიღწევები შეუმჩნეველი არ დარჩენია სოფლის მეურნეობის საკავშირო სამინისტროს, რომელმაც 1950 წელს იგი ყუბანის ოლქის ქ.არმავირის ცნობილ ცხენსაშენში — „ვოსხოდში" გადაიყვანა.

ახალ ასპარეზზე კ.ყოჩიაშვილმა კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწია. 1953 წელს მან პირველად მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელიც პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში გაიმართა და პირველივე გამოსვლა ბრწყინვალე გამარჯვებით აღნიშნა — შესანიშნავ ცხენ „არაგვით" მან „მშვიდობის პრიზი" მოიგო 1400 მეტრიან დისტანციაზე დოღში.

1954 წელს იმავე „არაგვით" კ.ყოჩიაშვილმა საკავშირო შეჯიბრება მოიგო დერბში (დერბი იყო სსრკ-ს დიდი პრიზი სამწლიანი წმინდა სისხლის ცხენებისთვის 2400 მეტრზე დოღში). იმავე წელსვე მან გდრ-ში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში გაიმარჯვა 1400 მეტრზე დოღში.

ნიშანდობლივი მომენტი კ.ყოჩიაშვილის ბიოგრაფიიდან: უცხოელებს მისი გვარის წარმოთქმა ძალზე უჭირდათ, რის გამოც არაერთხელ შესთავაზეს გვარის შემოკლება ან ფსევდონიმის მიღება, მაგრამ კოტე ყოჩიაშვილის პოზიცია ურყევი იყო — მას ყველგან და ყოველთვის ქართული გვარით უნდა ესპარეზა.

1955 წელს გამოჩენილმა ჟოკეიმ მეორედ მოიპოვა წარმატება საკავშირო დერბში, ამჯერად ცხენ „სუნგურით". მისი საყვარელი, შვილივით ნაზარდი ცხენი „არაგვი", რომელიც ერთ-ერთი შეჯიბრების დროს სასიკვდილოდ დაშავდა, საბურთალოს ახლადგახსნილ სასაფლაოზე კოტეს ხელით გათხრილ სამარეში განისვენებდა.

1959 წლის 2 მაისს თბილისის სახელმწიფო იპოდრომის გახსნასთან დაკავშირებით საქართველოს უძლიერესი ცხენოსანთა დიდი სპორტული ასპარეზობა გაიმართა, რომელშიც „მოსკოველმა სტუმარმა" კ.ყოჩიაშვილმაც მიიღო მონაწილეობა. მან 1600 მეტრზე ჩორთით სვლაში ცხენ „ჰიბრიდით" გაიმარჯვა... ერთ საგაზეთო წერილში შეუძლებელია კ.ყოჩიაშვილის წარმატებების უბრალო ჩამოთვლაც კი. ამისთვის, ალბათ, სპორტის ისტორიის მემატიანენი მოიცლიან შემდგომში...

1959 წელს გაზეთ „ლელოს" კორესპონდენტთან საუბარში კ.ყოჩიაშვილი აღნიშნავდა: „დღეს მე ერთგვარად უხერხულობაში ვიმყოფები — ჩემს სამშობლოში, იქ, სადაც ფეხი ავიდგი, როგორღაც „სტუმრად" ვგრძნობ თავს. ჩემი მთავარი და სანუკვარი გეგმაც სწორედ ამ გარემოებასთან არის დაკავშირებული. მე მინდა უახლოეს დროში დავბრუნდე ისევ აქ და ჩემი წვლილი შევიტანო როგორც საქართველოს საცხენოსნო სპორტის განვითარებაში, ისე აქაურ ცხენსაშენებში საუკეთესო ბედაურების მოშენება-გამრავლებაში. ეს ჩემი ოცნება გახლავთ და, ვფიქრობ, სისრულეში მოვიყვანო იგი".

მაგრამ დიდი ჟოკეის ამ ნატვრას აღსრულება არ ეწერა, სხვადასხვა მიზეზთა გამო მან სამშობლოში დაბრუნება ვერ მოახერხა. სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე, კოტე თბილისში მცხოვრებ დას — თამარ ყოჩიაშვილს ტელეფონით ანდობდა თავის სანუკვარ სურვილს — ნეტა, ახლა ჩემს კახეთში დამადგმევინა ფეხი და მეტი არაფერი მინდაო. სამწუხაროდ, ეს ოცნებაც აუსრულებელი დარჩა და მისი ცხედარი უცხო მიწამ მიიბარა.

ჩვენ, კ.ყოჩიაშვილის თანამემამულეებს, იქნებ ის მაინც მოგვეხერხებინა, რომ მისი უამრავი სპორტული ჯილდოების თუნდაც ნაწილი ჩამოგვეტანა საქართველოში და სათანადო ადგილზე მიგვეჩინა მათთვის ბინა.

ბონა საითიძე

GEORGIAN
MARITIME
BANK



საქართველოს
საზღვაო
ბანკი

საქართველოს საზღვაო სააქციო კომერციული ბანკი
ბათუმი, 384517
გოგებაშვილის №60.
ტ: 3-54-69, 2-00-50
ფაქსი: 873 1405477
ტელექსი: 412616 GESC SU

THE GEORGIAN MARITIME BANK
60, Gogebashvili
Batumi, 384517
Republic of Georgia
Phone: 2-00-50, 3-54-69
Fax: (873) 1405477
Telex: 412616

საზღვაო ბანკი
მომავლის ბანკი

მომსახურება
მინიმალური ტარიფებით

საერთაშორისო
საბანკო ოპერაციები
სამი საბანკო დღის ვადაში

ვალუტის კონვერტაცია

ნაღდი ფულის ინკასაცია

გაცვეთილი
ფულადი ნიშნების შესყიდვა

მეუღლე ეთერ ჯიშკარიანი, შვილები ნინო და მარინა, შვილიშვილები ოთარიკო თოფურიძე, ნინო და ანი გაბიძაშვილები, სიძე გურამ გაბიძაშვილი, და გუგული, ძმა ბუდუ ჯიშკარიანები, ცოლისდა მერი, ცოლისძმა გივი მახათელაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ოთარ ივანეს ძე ჯიშკარიანი**

პანაშვიდი ოთხშაბათს, 25 იანვარს, 3 საათზე, გამოსვენება ხუთშაბათს, 26 იანვარს, 2 საათზე. მისამართი: ყაზბეგის ჩიხი №4

ყოველდღიური
გაზეთი
„კავკასიონი"

იღებს შეკვეთებს
სამგლოვიარო
განცხადებების
გამოქვეყნებაზე

მოგვმართეთ:

პეტრიაშვილის ქუჩა №7
ტელეფონი: 29-48-05

სარედაქციო კოლეგია

ვასილ მაღლაფერიძე (სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე), მამუკა ფაჩუაშვილი (მთავარი რედაქტორი), პაატა ვეშაპიძე (რედაქტორი), გივი ბოლოთაშვილი (უცხოეთი), დავით კახაბერი („თვალსაწიერი"), შალიკო შამანაძე (პუბლიცისტიკა), ვახტანგ სალია (გაზეთის დირექტორი).

რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7. ტელეფონი: 29-48-05; ფაქსი: 29-48-05.